ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

# ბრძანება №2207

ქ. ბათუმი, 31 მაისი 2018 წ

**ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) განხორციელდა 422,64 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობების მშენებლობა. კერძოდ: 1) შენობა N01; I სართული - 100,75 კვ.მ. ფართობი; 2) შენობა N01; II სართული - 112,06 კვ.მ. ფართობი; 3) შენობა N02 – 209,83 კვ.მ. ფართობი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

## ვბრძანებ:

**1**. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) განთავსებული 422,64 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობები (N01; N02).

**2**. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დაარეგისტრიროს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები).

**3**. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (ე. ლომაძე).

**4**. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი: 61001010495).

**5**. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**6**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**7**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი